

ქეთევან ქემოკლიძე - კლასიკო დო



მეცო სოპრანო ქეთევან ქემოკლიძემ მარტსა და აპრილში ლოს ანჯელესის საოპერო თეატრში პლასიდო დომინგოს მიწვევით როსინის „კონკიაში“ მთავარი პარტია შესასრულა. როგორც მომღერალი ამბობს, სამმა სპექტაკლმა ძალიან წარმატებულად ჩაიარა. მართლა გულწრფელად მიხარია, როდესაც უცხოეთში წარმატებულ თანამემამულეზე ასეთ საამაყო ამბებს ვისმენ.

„ბელისიმა, ბრავისიმა“

ქეთევან ქემოკლიძე: - ოთხი წლის წინ კანადაში პლასიდო დომინგოს კონკურსში გავიმარჯვე. მას შემდეგ ის სულ მეპატიჟება იმ თეატრებში სამღერლად, სადაც თვითონ დირექტორია. რამდენიმე წლის წინ ვაშინგტონში ვიყავი მისი მიწვევით. ახლა ლოს ანჯელესში სამი სპექტაკლი ვითამაშეთ. თითქმის ორ თვემდე დავყავი იქ. კარგად და წარმატებით ჩაიარა სპექტაკლებმა და ბედნიერი დავბრუნდი ვენაში. უნდა აღვნიშნო, რომ ლოს ანჯელესში ორი ქართველი პიანისტი მოღვაწეობს, ნინო და თამარ სანიკიძეები. ეს პიანისტები დომინგოს ფავორიტი პიანისტები არიან, რომელთა გარეშე დომინგოს არც ერთი კონკურსი არ ტარდება. ყოველთვის ამ ორ ქართველ დას ინვესს. ლოს ანჯელესი ძალიან ლამაზი ქალაქია. მთელი კინოს ისტორია იქ არის. სექტემბერში ვაშინგტონში „ოპერა თეატრში“ სპექტაკლ „ბედის ძალაში“ მეცო სოპრანოს მთავარი როლის შესასრულებლად მივემგზავრები.

ორი წლის წინ დომინგომ ბათუმის კონცერტზე პირადად ჩამიყვანა. რომ ნახა - კონცერტში ჩასმული არ ვიყავი, დამირეკა - რატომღაც სიაში არ ხარ, ბილეთი ნაყიდი მაქვს, ჩაჯექი და გამოფრინდიო. მეორე დღეს მისი პირადი თვითმფრინავით გამოვფრინდი უკან, ლონდონში კონცერტი მქონდა. კომპლიმენტს ყოველთვის აღმატებულ ხარისხში მეუბნება - „ბელისიმა, ბრავისიმა“. საოცარი ადამიანია, არაფერი არ ეპარება და არ ავიწყდება. ამდენი ხანია სცენაზეა. ტენორი იყო, ახლა ბარიტონზე გადავიდა და თან დირიჟორობს. სასწაული შემოქმედი. ყველაფერში ნიჭიერი ადამიანია. საოცარია ურთიერთობებში. საოპერო სფეროში სამაგალითოა.

წარმატება ვენიდან

ქეთი ვენაში ექვსი წელია ცხოვრობს. თავიდან მისი ევროპული კარიერა ვენის კონკურსით დაიწყო, მერე იყო ლა სკალას აკადემია, სადაც 2005-2007 წლებში ისწავლა. „უგამოცდოდ მოვხვდი. ვენაში კონკურსზე ლა სკალას დირექტორს ძალიან მოეწონა და უგამოცდოდ ჩავაბარე აკადემიაში. ჩემი წარმატება აქედან დაიწყო. სულ ზევით და ზევით მივდივარ. სულ რომ მგონია რომ პიკია, მერე აღმოჩნდება, რომ არ ყოფილა პიკი. ასეულობით სპექტაკლში მიმღერია. ხუთი წელია ერთი აგენტი მყავს. კარგად ავანწყვეთ მუშაობა. სამი წელი პროგრამა უკვე განწერილი მაქვს.



„ყოველთვის ვნერვიულობ საქართველოში როცა გამოვდივარ, ყოველი კონცერტი ანგარიშის ჩაბარებასავით გამომდის.“

„ოთხი წლის წინ კანადაში პლასიდო დომინგოს კონკურსში გავიმარჯვე. მას შემდეგ ის სულ მეპატიჟება იმ თეატრებში სამღერლად, სადაც თვითონ დირექტორია. რამდენიმე წლის წინ ვაშინგტონში ვიყავი მისი მიწვევით. ახლა ლოს ანჯელესში სამი სპექტაკლი ვითამაშეთ“

ვენაში ცხოვრება მომწონს. მონწილეობის უფლება მაქვს. უცხოეთში გაბნეულ ქართველ მომღერლებს გვინეებს ერთად სიმღერა. დეკემბერში ლა სკალაში ვიმღერე გია გავნიძესთან ერთად. ლადო ათანელთან ორჯერ მაქვს ნამღერი. ნინო მაჩაიძესთან ერთად არაერთხელ გამოვსულვარ. ახალ წელს პაატა ბურჭულაძესთან ერთად ბერლინის თეატრში ვიმღერე. საერთოდ, ლა სკალაში ოთხი ქართველი ვსწავლობდით ერთ პერიოდში - მე, ნინო მაჩაიძე, ლიკა ლაგვილაძე და ირინა კაპანაძე. ჩვენ აკადემიის სცენაზეც ერთად გვიმღერია“.

ივარ, ყოველი კონცერტი ანგარიშის ჩაბარებასავით გამომდის. უცხოეთში გაბნეულ ქართველ მომღერლებს გვინეებს ერთად სიმღერა. დეკემბერში ლა სკალაში ვიმღერე გია გავნიძესთან ერთად. ლადო ათანელთან ორჯერ მაქვს ნამღერი. ნინო მაჩაიძესთან ერთად არაერთხელ გამოვსულვარ. ახალ წელს პაატა ბურჭულაძესთან ერთად ბერლინის თეატრში ვიმღერე. საერთოდ, ლა სკალაში ოთხი ქართველი ვსწავლობდით ერთ პერიოდში - მე, ნინო მაჩაიძე, ლიკა ლაგვილაძე და ირინა კაპანაძე. ჩვენ აკადემიის სცენაზეც ერთად გვიმღერია“.

სიფათი სცენაზე
„უამრავ სპექტაკლში მიმღერია და ყოფილა სიფათიც. საფრანგეთში „სევილიელი დალაქის“ თამაშისას ასეთი რამ შემემთხვა. როზინას როლს ვასრულვდები. ისეთი დეკორაცია იყო, რომ იატაკი ზოგ სცენაში ფანჯრად აინეოდა და მერე ისევ იატაკი ხდებოდა. ერთ სცენაში, როდესაც იატაკად გადაკეთდა, ეს ფანჯარა არ ჩაუკეტავთ და ჩავვარდი, ორი მეტრის სიგრძეზე ჩავფრინდი. თანამედრო დადგმა იყო და ორკესტრს ეს ასეთი სცენა ეგონა, ამიტომ არ გაჩერებულა. საშინელებათა ფილმებში ხომ გინახავთ, საიდანლაც რომ ამოდიან, ასე ამოვედი იატაკიდან. ფეხი და ხელი დამიზიანდა, შუბლიც მქონდა დარტყმული. მერე ამ როლის შესრულება მ თვის ორსულს შემომთავაზეს, მაგრამ გავაუქმე“.

ხმას როგორ უყვით?
- მე ჩვეულებრივი მომღერალი ვარ, ყველაფერს ვჭამ. თანამედროვე მომღერლები ვცდილობთ ჩვეულებრივი ადამიანები ვიყოთ. ქართულ საჭმელებს თვითონ ვაკეთებ. ხშირად ნიგვზი-



ჩემს სპექტაკლზე დავპატიჟე. ჩვენი რომანიც იქიდან დაიწყო. სახამ ვიქორწინებდით სამწლიანი ურთიერთობა გვექონდა. ორივე ვსწავლობდით, მე ლა სკალაში, ის ბარსელონაში, თან სხვადასხვა ქალაქებში ვცხოვრობდით და ოჯახის შესაქმნელად არ გვეცალა. დრო ურთიერთობას წვრთნის, სიმორე კი გრძობას განმტკიცებაში ეხმარება... მგონია, რომ ცოტა ხნის წინ იყო, მაგრამ რომ დავითვალე შვიდი წლის წინ იყო. იყო სიურპრიზები, ჩა-

მინგოს ფავორიტი მეცო სოპრანო

„რომში კარლოს საურასთან ჩემი კასტინგზე მისვლა ძალიან არარეალურად ჟღერდა. მოგვიანებით კარლოსმა მითხრა, მარტო კასტინგით კი არ შეგაფასა, აეროპორტში გიყურებდი შემოწევა როგორ გაიარაო“



EXCLUSIVE

მოკითხვა. ქორნილი საქართველოში გვექონდა, ევროპულ-ქართული. უამრავი უცხოელი მეგობარი ჩამოგვივიდა. დღემდე ყოველთვის ჩამოდის პრემიერებზე. ახლაც ლოს ანჯელესში ჩამოვიდა, გამამხნევა და გვერდში დამიდგა. პრემიერებზე მისი გვერდზე დგომა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სხვა შეგრძნებაა, როცა იცი, რომ დარბაზში შენი მეუღლე ზის.

დედობამ მშვიდი და ნებისყოფიანი გამხადა. ლუკას ძუძუთი ვკვებავდი. კულისებშიც გამომიკვებავს. ახლა პირველად დავტოვე მარტო ლოს ანჯელესში რომ ვიყავი, თითქმის ორი თვე და გამიჭირდა მის გარეშე. ვფიქრობ შემირიგდა...


„ამ ფილმში თამაში ჩემთვის გამოცდილება იყო“

ქეთევანი, სამი წლის წინ, თვით კარლოს საურამ ფილმ „დონ ჯოვანიში“ გადაიღო. ერთ-ერთი მთავარი როლი აქვს.

„ამ პროექტში შემთხვევით მოვხვდი. ავსტრიაში მოსმენაზე ვიყავი და ამიყვანეს. ზუსტად ამ დროს აგენტმა დამირეკა და მითხრა, რომში რეჟისორი კარლოს საურა კასტინგს ატარებს. ჩავთვალე, რომ რომში საურასთან ჩემი კასტინგზე მისვლა ძალიან არარეალურად ჟღერდა. აგენტს ვუთხარი,

მე მგონი ასეთ კასტინგზე ნასვლა არ ღირს-მეთქი. ამ მომენტში დამირეკა ჩემმა პედაგოგმა, გულიყო კარი-აულმა და მას ეს ამბები მოუყუყვი. დიდი ამბავი ამიტეხა, თბილისში არ ჩამოხვიდე, რომში თუ არ ნახვალო. ავდექი და ლამის მატარებლით რომში

„ორი წლის წინ დომინომო ბათუმის კონცერტზე პირადად ჩამიყვანა. რომ ნახა - კონცერტში ჩასმული არ ვიყავი, დამირეკა - რატომღაც სიაში არ ხარ, ბილეთი ნაყიდი მაქვს, ჩაჯექი და გამოფრინდიო. მეორე დღეს მისი პირადი თვითმფრინავით გავფრინდი უკან“



გავემგზავრე. ასე ნამგზავრი შევევარი კასტინგზე. მამლერეს და ვტოლდი გამაკეთებინეს. ეტოლდში კოლეგასთან უნდა მეჩხუბა და ასეთ დაღლილს და გაღიზიანებულს ისე კარგად გამომივიდა ჩხუბის როლი, რომ მალევე მომწერეს - საურამ როლზე აგიყვანაო. მერე კარლოს მითხრა, მარტო კასტინგით კი არ შეგაფასა, აეროპორტში გიყურებდი შემოწმება როგორ გაიარაო. შემოწმებაზე სულ პრობლემები მაქვს, ჩემი პროფესიის და მოგზაურობის გამო სულ ბევრი ბარგით ვარ. რეჟისორია და ხომ უცნაურია იქ როგორ დამაფიქსირა. 80 წლამდე იქნება და აქტიურია, ნაბოლარა შვილი 14 წლის ჰყავს.

ფილმის გადაღებები რომში და ჩინეთში ორი თვე მიმდინარეობდა. ცნობილი ავსტრიელი და იტალიელი მსახიობები თამაშობენ. ლინო გვანცალე მოცარტის როლშია. ჩემი პერსონაჟი - ადრიანა ფერარეზე, იგივე დონა ელვირა, რეალური ადამიანია. დონ ჯოვანის ლიბრეტოს ტექსტის ავტორის საყვარელი იყო, თან მომღერალი. სწორედ ამ საყვარელი ქალების მიხედვით დაინერა „დონ ჯოვანი“. ერთ-ერთი ქალი ეს ფერარეზე იყო. მისი როლი მე განვასახიერე, შექონდა, როგორც სამღერო, ასევე სათამაშო სცენები. იყო სასიყვარულო მსუბუქი სახლის სცენაც. ფილმში დივიდიზე რომ გამოვიდა, ჩემი ამ სცენიდან ფოტო ჰქონდა დართული.

ამ ფილმში თამაში ჩემთვის სხვა-ნაირი გამოცდილება იყო. ფილმმა კინოფესტივალზე ბევრი პრიზი აიღო. რომის მთავარ კინოფესტივალზე ვერ ჩავედი, ირლანდიაში პრემიერა მქონდა და სამწუხაროდ, წითელ ხალიჩაზე ვერ გავიარე.

დაბოლოს...

- საქართველოში როდის ბრუნდები?

- 22 ივნისს ბათუმში ელისო ბოლქვაძის ფესტივალია „ბათუმი მუზიკ ფესტი“, სადაც გახსნაზე მიმინვია და მიხარია, რომ იქ ვიმღებ. დიდიფორი გიორგი ჟორდანიას იქნება. მერე კი ავსტრიაში სოლო კონცერტი მაქვს.

- რას მოაქვს წარმატება?

- შრომას, გონებასა და იღბალს.

